# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 162. ქვირა, 26 ოქტომბერი 1903 წ. გაზეთის № 2304.


## რათა? რისთვის?

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

შევიტყე, რომ თავადი № ჩვენ მხარეს გადმოსულიყო და, რადგან საჭირო საქმე მქონდა იმასთან, გადავსწყვიტე, საგანგებოდ სახლში მივსულიყავ, მენახა და გამეთავებინა საქმე. სოფელი, სადაც ახლა თავადი იმყოფებოდა, ჩემის სოფლიდან სწორე გზით ცხრა ვერსის მანძილზე იყო. მაგრამ მაღალი მთა იყო გადასასვლელი და ვამჯობინე, ისევ გარს მომევლო. ორი სადგური გავიარე რკინის გზით, საიდანაც იყო მხოლოდ 3—4 ვერსი, იქ ვიქირავე ცხენი და გზის მაჩვენებელი და გავსწიეთ, მე ცხენით, გზის მაჩვენებელმა კი ფეხით.

შუადღის პირველი საათი იქნებოდა. ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ჰაერში ბუღი ტრიალებდა. მზე აუტანელად სწვავდა. არსაიდან ოდნავი სიო არ იძროდა. და კაცს სუნთქვა უძნელდებოდა.

გადაუხვიეთ რკინის გზის ლიანდაგიდან, გავედით პატარა, მაგრამ ჩქარ წყალს და შეუდექით საშინელს აღმართს. ჩემი კაცი მიმიძღოდა წინ და მიჩვენებდა გზას, რომელიც მიდიოდა ტყე და ტყე და ბოლო არ უჩანდა. ბუნების სრულს მყუდროებას არღვევდა პატარა მთის ხევი, გაზაფხულზე მძვინვარე და მავნე, ხოლო ეხლა საამური და უწყინარი, რომელიც მიიკლაკნებოდა ძირს ხრამში და სიცხის მიუხედავად მხიარულად მიხმაურობდა. დანარჩენ ბუნებას, ცხოველს, ფრინველს, თითქოს ეძინათ. ფრთოსანნი მიკუჟულიყვნენ ხეებსა და ბუჩქებ ქვეშ

უწუმ იყურებოდა უკან, ალბად იმის შიშით, რომ არ დავსწეოდი და არ გამესწრო. ყველანი ოფლში ვიწურებოდით. ჩემს თავს საძაგლად ვგრძნობდი. თავზედ ქუდ ქვეშ ცხვირსახოცი ჩამოვიფარე. უნაგირზედ მთლად მოვეშვი და ტანს აქეთ-იქით ზარმაცად ვაქანებდი. დალაგებული ფიქრები თავში არ მომდიოდა. ჩემი ფიქრები ნაწყვეტ-ნაწყვეტი და უსიამოვნო იყო. ბოლოს ძალა დავატანე ჩემს თავს და დავიწყე ფიქრი იმ თავადზე, რომელთანაც ახლა მივდიოდი. განსაკუთრებულს და ფრიად საინტერესო თავადიშვილის ტიპს წარმოადგენდა ჩემი ნაცნობდი. იგი არა ჰგავდა სხვა მებატონეთ, რომელნიც არაფერს არ დაეძებენ მამულის გაუმჯობესობისათვის, შემოსავლის მომატებისათვის, საქმის საქმედ მოყვანისათვის. სცხოვრობენ ისე, დღიურად, მოურავების ხელში შემაცქერალნი. რა თქმა უნდა, ნახევარი ამ მოურავებს მიაქვთ. ზემოხსენებული თავადი პირველი მებატონე იყო, რომელსაც ვიცნობდი და რომელსაც შემოღებული ჰქონდა მამულის მართვა-გამგეობის წესრიგი, კანტორებით, მიწერ-მოწერით, სისტემით, ბუღჰალტერიით და სხვათი. რომ გადაათვალიერებდით იმის ქაღალდებს, პლანებს, შემოსავალ-გასავლის წიგნებს, ვარგის თუ უვარგისს ადგილების სიას, შეგეძლოთ გეთქვათ, რომ იმას მართლა ჰქონდა მამული, და ცხადად დაინახავდით ნამდვილ შესავალ-გასავალს. თვითონ განაგებდა თავის მამულს, ჰყავდა მრავალი ტყის მცველი დარაჯი და მოიჯარადრე. მთელის წლის განმავლობაში უვლიდა გარს თავის დიდ მამულს, რომელიც გაფანტული იყო სამს მაზრაში, დაწვრილებით იძიებდა ყოველ საქმეს, ადგილობრივ უშინჯავდა ნამოქმედარს ტყის მცველებს და პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა გლეხებთან. აუარებელი მისი



ბერძენთა მხატვარი ზევკსისი ხატავს მშვენიერ ელენეს სურათს.— სურათი პაგლიანოსი.

და უცდიდნენ მზის ჩასვლას, მხოლოდ დრო გამოშვებით ბუჩქში შეიფრთხიალებდნენ და ისევ მალე მიჩუმდებოდნენ.

ჩემი ცხენი დინჯად მიადგამდა ფეხს ტყის უსწორ-მასწორო წვიმისა და ტივის ხეებისაგან ოღრო-ჩოღროდ ქცეულ გზაზედ. გზის მაჩვენებელი ჩქარის ნაბიჯით მიმიძღოდა და წამ და

ტყისა და ველის მცველები, სხვა მებატონესთან პარვას ჩვეულნი, იმას ვერაფერს ვერ ჰპარავდნენ, რადგან ადვილად იჭერდა ქურდობაში.

თავადი № თავისას არავის არც შეარჩენდა და არც არას დაუთმობდა. ეს კარგად იცოდნენ გლეხებმა. ერთხელ ერთს

გლეხ-კაცს ას სამოცი თუმანი ჰქონდა ჩასაბარებელი. ადგილობრივ ვერ მოასწრო და რკინის გზის სადგურში მიუტანა, როცა ბატონი სახლში მიბძანდებოდა. ანგარიშით იმ გლეხკაცს ერთი აბაზი დააკლდა და ბატონმა არ მიიღო, ისე ჩაჯდა წავიდა. მერე ის ფული სახლში ჩაუტანა და ის აბაზი ოც აბაზად დაუჯდა. ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ არავის არ სწყინდა:

— რა უყოთ მერე... იცი მაინცა, რომ მეტს არ გამოგართმევს, კანონისა და პირობის ძალით მოგექცევა, მა როგორ გინდა? უდროოდ გარდასახადს არ წაგიმატებს, მეორედ არ გადაგახდევინებს, როგორც სხვები სჩადიან, რა უყოთ, რომ თავისას სულ მოგთხოვს?—ლაპარაკობდნენ ხოლმე გლეხები ერთმანეთში.

საზოგადოდ მებატონის ცუდობა და ექვის თვალით შემაცქერალი გლეხკაცი ამ თავადს სრულის ნდობით უცქეროდა. სჯეროდა იმისი სიტყვა და იცოდა, რომ ავი იყო ეს მისთვის თუ კარგი, რასაც იტყოდა, ასრულდებოდა, ამიტომ იმათ შორის ადვილად ხერხდებოდა ყველა ნაირი საქმე, მამულების ყიდვა, იჯარით გაცემა და მრავალ გვარი სხვა-და-სხვა პირობა.

საქმეში შებრალება არ იცოდა, თუმცა გაჭირვებულ კაცის მდგომიარობაში კი შევიდოდა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. არ იცოდა წუთები, რაიმე შთაბეჭდილებით გამოწვეული გულ-კეთილობა, ატაცებული მხიარულობა, ან გულის გაბოროტება. არ იცოდა რა იყო უცები გულის-მოლბობა და აჩქარება ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტის დროს. ის იყო ყველგან და ყოველთვის თანაბარი და აუჩქარებელი და ხასიათებში ბევრი რამ უცნაური სჭირდა. მაგალითად, ფულს არავის არ ასესხებდა, მაგრამ თუ მოხდებოდა და ასესხებდა, ერთს წელიწადს ჩუმად უცდიდა და ბოლოს აიღებდა და ჩასწერდა ერთ ერთს თავის აუარებელ დავთარში, რომელსაც „ღმერთის ქმნილი დავთარი" ერქვა, რომ ამასა და ამას ამდენი ფული ვაჩუქე. ძუნწი არ იყო, მაგრამ უზრალოდ დახარჯული ერთი გროშიც კი აღელვებდა. ას, ორას თუმნის პირობას ქაღალდის ნახევებზე სწერდა. დასწერდა რასმეს და გაჯელ ათ თუმანს აღემატებოდა, რაზედაც ხმას არ ამოიღებდა, არც კი გასინჯავდა, მოსამსახურეს აჩუქებდა ორ, სამ მანეთს, მაგრამ შაურიან მარკაზედ კი წაეჩხუბებოდა მოსამსახურესაც და რესტორანის პატრონსაც.

თავადი № იყო ის, რასაც ჩვენ უსწავლელს და გაუნათლებელს ვეძახით. სკოლის კარები არ ენახა და თავის სიცოცხლეში არ წაეკითხნა არც ერთი წიგნი, მაგრამ რა რთული საგანი გინდოდათ, რომ გონივრული, თვით ცხოვრებიდან აღებული, ლოღიკური აზრი არ წარმოეთქვა გინდ ქართულად, გინდა რუსულად. თეორიას ძალიან დაშორებული, ის სჯიდა ნათლად, რადგან ცხოვრება ჰქონდა შესწავლილი თვით ცხოვრებაშივე და ყველაფერს უკვირდებოდა და ითვისებდა შორსგამჭვრეტის ჭკუით. თავადს თითქმის არავინ არ იცნობდა კარგად, რადგან მეზობელ ინტელიგენტებს არ უყვარდათ და არაფერ ღირსებას მასში არა ჰპოულობდნენ. თავის მხრივ იმასაც არ უყვარდა ინტელიგენტები. ერთი-ერთმანეთს ზიზღით უყურებდნენ და ერთი-ერთმანეთს გვერდს უქცევდნენ.

ხშირად მთელი კვირაობით თავადი იყო ხოლმე ჩვენს კუთხეში. აქაური იმისი მამული ნაჭერ-ნაჭერ იყო გაფანტული და რადგან იცოდა, რომ ამ გვარი მამული ზარალის მეტს არას იძლეოდა, გადაეწყვიტნა იმისი ნაჭრობით მიყიდვა გლეხებზედ და ამ ფულით თავის ერთიან მამულის გარშემო მიწების შემოსყიდვა. თავიდან საქმე ცუდად მისდიოდა, ბოლოს კი თან-და-თან კარგად წავიდა, რადგან თვითონვე ძალიან უწყობდა ხელს მყიდველებს. ამ საქმისთვის ჰყავდა ერთი მცოდნე კაცი, რომელიც მუდამ თან დაჰყავდა და გადამდგარი იყო ნასყიდობის და დამტკიცების საქმეებზედ. გლეხკაცებს და მებატონეს შორის საჭირო იყო მხოლოდ მორიგება უბრალო პირობის ქაღალდზედ, და გლეხკაცი იჯდა სახლში თავის საქმეზედ, არ უხდებოდა წანწალი ნატარიუსებში და კანცელარიებში, რადგან შინ მოსდიოდა მზა-მზარეულად დამტკიცებული ნასყიდობის ქაღალდი.

ფიქრებში გართულმა ვერც კი გავიგე, როგორ გავიარე ვერს-ნახევარი.



სამხედრო გემზე.—სურათი ლინტნერისა.

დარჩენილს სუფთა ქაღალდს, თუნდა სამი თითის დადებაც ყოფილიყო, მოჰხევდა და შეინახავდა. ერთი ამბავი შეუდგებოდა, როცა რესტორანში სადილის ან ვახშმის ანგარიშს მოუტანდნენ, რომელსაც შაურიანი მარკა ეკრა. ნახარჯი ბევრ-

— აი, მოვედით, ბატონო!—მომახარა ჩემმა მგზავრმა და მიმითითა ერთს დაბალ ლობით შემორაგვულ ეზოზედ.

ხალხი ისე ირეოდა, როგორც დიდ ქორწილში. ეს ეზო იყო თავადის ერთ-ერთ მოურავ-გლეხკაცისა. სუფთა, ფართ

სახლი, ბოსელი, საბძელი, ბეღელი, ძარი, მარანი ნათლად ამტკიცებდა, რომ პატრონი შეძლებული გლეხი იყო. ეზო მოსუფთავებული იყო. აქა-იქ ჩრდილოებ ქვეშ იდგა ჯგუფები გლეხკაცებისა. ზოგი წამოწოლილიყო, ზოგი იჯდა, ზოგი კი იდგა და ჯოხის მიწაში ცემით ცხარედ ლაპარაკობდა. ბეღლიდან სახლამდე მირბი-მორბოდნენ თავადის თავით-ფეხებამდე შეიარაღებული დარაჯები.

გადმოვხტი და გავეშურე ბეღლისაკენ, რომელზედაც მიდგმული იყო სუფთა ფიცრული ოთახი და სადაც, როგორც მითხრეს, იმყოფებოდა თავადი.

ლითად, შეჩვეულია საქონლის ყოლას, ჰგონია, რომ შიმშილით მოკვდება თუ გაჰყიდა იგი, თუ არ არის ჩვეული და არ იყიდის. დაჩვეულია სახლში საქმის კეთებას, რომ მოჰკლა გარედ არ გავა. დაჩვეულია სიმინდისა და პურის თესვას და ვერას გზით ვერ დაათესინებ კარტოფილსა და სხვა რამეს. აქაც შეჩვეულია თავის ბატონს, დაჩვეულია მეოთხედის ძლევას, ძღვნის ზიდვას, მისთვის მუშაობას და ეშინიან, ვაი თუ დავიღუპო, თავი რომ დავიხსნაო. აბა რას გააწყობთ, რაც გინდა კეთილი გინდოდეს გლეხისთვის.

— რაც უნდა იყვეს, ზოგიერთები ხომ იხსნიან თავს?



სატუსაღოში.—სურათი შმიტცისა.

ვიწრო აივანზედ, უბრალო ხის მაგიდასთან იჯდა ის და რაღასაც სწერდა. მაგიდაზე ეყარა არეულად სხვა-და-სხვა ფერისა და სიდიდის ქაღალდები, პლანები, კარანდაშები და კალმები. დანარჩენნი იქ მდგომნი თავ ჩაღუნულნი ჩუმად შესცქეროდნენ თავადს.

თავადი № ყმაწვილი კაცი იყო, ოცდა თხუთმეტის წლისა. შუა ტანისა, ჩასუქებული. სახე მეტად სასიამოვნო და მიმზიდველი ჰქონდა. იმის გრძელ წამწამებიან თვალებში ჭკუა, მხნეობა და მტკიცე ხასიათი იხატებოდა. იჯდა ახალუხის ამარა, გულ გახსნილი და მსუქან სახეზედ წყალივით ჩამოსდიოდა ოფლი.

ჩემს მისვლაზე თავი მაღლა აიღო, წამოიწია, მომესალმა და მთხოვა დავმჯდარვიყავ. აქეთურ-იქითურ ამბების შემდეგ გადავედი ჩვენს საერთო საქმეზედ, რომელიც ძალიან მალე გავასწორეთ. შემდეგ დაუწყე გამოკითხვა თავის საქმეებისა.

როგორ მიდის თქვენი საქმეები, თავადო?—ვკითხე.—ცუდად!—სთქვა და ჩაახველა:—ძალიან ცუდად!—აქ შეჩერდა პატარა ხანს და შემდეგ განაგრძო.—ჩვენ გლეხკაცთან განა რასმეს გააწყობ? გლეხკაცს უნდა ეჩიჩინო დღეს, ხვალ, ზეგ და სანამ არ დაუღეჭამ და პირში არ ჩაუდებ, ვერაფერს ჩააგონებ. ჩვენი გლეხკაცი სულელია და მასთან ეჭვიანი. შესთავაზებ რასმეს, ნუ გეგონოს, რომ მაშინვე გითხრას გადაწყვეტილი პასუხი. წავა, ჯერ იფიქრებს, იფიქრებს, შემოუვლის მას ოთხსავე მხრიდან, ეძებს რაღაცა საშიშარ შედეგს და თუ ვერა იპოვნა რა, მაშინ გადასწყვეტავს, ისიც შიშით და უკან დახევით. იმაზე უბრალო საგანი რაღა იქნება, რომ თავი დაიხსნან. თვითონაც იცის, რომ უნდა დაიხსნას, მაგრამ კიდევ ჰფიქრობს, კიდევ შიშობს. ისე ეჩვევა თავის ერთგვარ და უფერულ ცხოვრებას, რომ იმისთვის სიკვდილია რაიმე ცვლილება. არ ესმის, რა არის იმისთვის მავნე და რა სასარგებლო. მაგა-

— იხსნიან, მაგრამ დიდის გაჭირვებით. ყოველ სოფელთან მთელი ომი მომინდა. იდგნენ დიდს უარზე. მაგრამ ერთი თუ ვინმე იმათგანი შებედავდა, მაშინვე სხვებიც ცხვრებივით მიჰყვებოდნენ. გაბედულობა არა აქვთ, გაბედულობა. იმიტომაც არიან ყველა ერთნაირად იმ განსხვავებით, რომ ერთს მომეტებული ჭირნახული აქვს მეორეზე.

თავადს საზოგადოდ უყვარდა მაგარ სიტყვებით ლაპარაკი, აქ კიდევ, როგორც ეტყობოდა, გაეჯავრებინათ.

— იქნებ ბევრსა სთხოვთ თავის დახსნაში?—მორიდებით ვკითხე.

— რომ არ ამბობენ, თუ ბევრსა ვსთხოვ. ვკითხავ, ბევრია? „არა, არ არის ბევრი!“—მაშ რატომ არ გინდათ? „არ შეგვიძლიან!“—ამ თავითაც არა ვსთხოვ მთელ ფულს. ვაძლევ ვადას წელიწადს, ორს, სამსაც, მაგრამ არ უნდათ.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, იმედი დაგიკარგავთ.—ვსთქვი მე, რომ რამე მეთქვა.

იმან ჩაიცინა და თავი მაღლა აიქნია.

— იმედი არ დამიკარგავს, დღეს თუ ხვალ ყველას თავს დავახსნევინებ...

— რა ნაირად?

— მახტას მოუმატებ, გაუჭირებ საქმეს და იძულებულ გავხდი. ავადმყოფს ძალათ უნდა აყლაპო მწარე აბები, რომ მალე მორჩეს!

— განა შეგიძლიანთ თქვენ თძვენის მონდომებით უმატოთ, რამდენიც გინდათ?—გაკვირვებით ვკითხე.

— შემიძლიან, რამდენიც მინდა.

— რომ არ გადაიხადონ?

— შეუძლიანთ არ გადაიხადონ, მაგრამ მაშინ მოვექცევი კანონით, ესე იგი მეოთხედს გადავახდევინებ.

— ჰო და მეოთხედს გადაიხდიან მოსავლიდან.

— არ გადაიხდიან: ვინც ერთხელ გადიხდის, მეორეთ შემომეხვეწება კიდეც, აღარ გადამახდევინოო.

როგორც ეტყობოდა, უნდოდა, მე უფრო გავეკვირვებინე და ამიტომ მაცდევინებდა. ბოლოს განაგრძო:

— „უსტავნოი გრამოტით„ გლეხი მოვალეა მეოთხედი წაუღოს მებატონეს ორმოც-და-ათ ვერსზე. კარგი, ახლა თქვენ უყურეთ. რამდენჯერ მოუხდება ჩემ სახლში ჩამოსვლა ორმოც-და-ათ ვერსზედ. დამწიფდა ტყემალი, უჩემოთ ვერ მოჰკრეფს და სახლში უნდა წამიღოს მეოთხედი. შემოვიდა პური და უნდა წამიღოს, შემოვიდა ლობიო უნდა წამიღოს, შემოვიდა სიმინდი, დამწიფდა ყურძენი და გლეხკაცი მოვალეა ყოველ შემთხვევაში შეაბას ურემი და მიზიდოს მეოთხედი. სხვა რომ არაფერი ვიანგარიშოთ, აბა მარტო ეს ჩააგდეთ, რამდენ დღეს გასცდება გლეხკაცი. ახლა სხვა ვსთქვათ, უჩემოდ არ შეუძლიან არაფერს ხელი ახლოს. პური გასაცელია და მე აქ არა ვარ, მოვედი და პური ჩაიპნა მიწაში, და სხვა-და-სხვა. რა ნაირად გინდა, რომ არ მოუჭირო ხელი?

ნამეტანი იყო. ის იყო უნდა ამომეღო ხმა და მეთქვა რამე ამ უსამართლობაზედ, ამ ადამიანის ხელით ადამიანის დახრჩობაზედ, მაგრამ ვერა მოვახერხე რა და გავჩუმდი.

თავადი გაერთო ქალალდების შინჯვაში. გლეხების რიცხვი თითქმის ყოველ საათს მატულობდა. ახლად მოსულნი ცალ ხელში დოქით, ცალ ხელში სავსე ლურჯის ხელცახოცებით, უახლოვდებოდნენ მაგიდას, სადაც ბატონი იჯდა, შლიდნენ იმის თვალ წინ მოტანილ პურებს, ყველს, ქათმებს, კვერცხებს შემდეგ იხდიდნენ ქუდებს, დაბლა თავს უკრავდნენ და ხმა მაღლა იძახოდნენ: „ბატონი აღღეგრძელა ღმერთმა!“

ბატონი ცალი თვალით გადახედავდა მოტანილს და ჩვეულებრივ უპასუხებდა: „აგაშენოთ ღმერთმა!“

აქვე მდგომი თავადის კაცები ახვევდნენ ისევ მოტანილს და სადღაც მიჰქონდათ. შემდეგ ყველა ამისა იწყობდნენ საქმეზედ ლაპარაკს.

**სგ. ყიფიანი**

(დასასრული იქნება)




ქალაქის ვაზს.




ქალაქის საქმეები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ, 25 октября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამ—ბ.